

# შპს „პრემიუმი“

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის  
ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურის  
ექსპლუატაცია

სკრინინგის ანგარიში

# სარჩევი

1	ზოგადი ცნობები .....	3
	საქართველო, ქალაქი თელავი, მშვიდობის ქუჩა, N 91 .....	3
2	ავტოგასამართი სადგურის განთავსების ადგილის დახასიათება.....	4
3	საწვავის შემოტანა .....	6
4	აგს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები .....	6
5	წყალმომარაგება-კანალიზაცია.....	7
6	გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში.....	8
6.1	ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.....	9
6.2	ხმაურის ზემოქმედება .....	10
6.3	ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე .....	10
6.4	ზემოქმედება ლანდშაფტზე .....	11
6.5	ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	12
6.6	ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე.....	12
6.7	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 12	
6.8	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე .....	13
6.9	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება .....	13
6.10	სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება .....	13
6.11	კუმულაციური ზემოქმედება .....	13
6.12	ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	14
6.13	ავარიული სიტუაციები.....	14
7	დანართი 1. საჯარო რეესტრის ამონაწერი .....	15

# 1 ზოგადი ცნობები

შპს „პრემიუმის“ ავტოგასამართი სადგური განთავსებულია ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანში, გოდერძი მათიაშვილის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

მიწის ნაკვეთის საერთო ფართობია 1091 მ<sup>2</sup> უშუალოდ ავტოგასამართი სადგური განთავსებულია 602 მ<sup>2</sup> ტერიტორიაზე, რომელზეც გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

გოდერძი მათიაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია: N57.03.59.016.016.

ავტოგასამართ სადგურზე განთავსებულია ორი რეზერვუარი, რომელთაგან თითოეულის მოცულობა არის 22 მ<sup>3</sup> (ჯამური მოცულობა 44 მ<sup>3</sup>).

აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3 პუნქტის და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, რისთვისაც შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

1	ოპერატორი	შპს „პრემიუმი“
2	იურიდიული მისამართი	საქართველო, ქალაქი თელავი, მშვიდობის ქუჩა, N 91
3	საქმიანობის განხორციელების ადგილი	ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭიკაანი
4	საქმიანობის სახე	ბენზინისა და დიზელის რეალიზაცია
5	საკონტაქტო ტელეფონი, იმეილი	599566411 infogaremotelavi@gmail.com
6	კონსულტანტი	ი/მ ზურაბი როსტომაშვილი, ტ. 599707704

## 2 ავტოგასამართი სადგურის განთავსების ადგილის დახასიათება



შპს „პრემიუმის“ ავტოგასამართი სადგური მდებარეობს გოდერძი მათიაშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში (ნაკვეთის კოდი N57.03.59.016.016. დანართი 1), რომელიც მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკანში.

უშუალოდ ავტოგასამართი სადგურის განთავსების გეგმა, რომელიც იკავებს მიწის საერთო ფართობიდან, ანუ 1091 მ<sup>2</sup>-დან 602 მ<sup>2</sup>-ს და რომელზეც გაფორმებულია ხელშეკრულება, მოცემულია № 1 ნახაზზე. საკადასტრო გეგმა და მიწის ნაკვეთის კუთხეთა წვეროები დატანილია № 2 და № 3 ნახაზებზე, ხოლო GPS კოორდინატები მოცემულია № 2 ცხრილში.

ნახაზი 1 ავტოგასამართი სადგურის გეგმა მ 1 : 300



ნახაზი 2



## ცხრილი 2

#	x	y
1	574483	4635966
2	574497	4635952
3	574473	4635931
4	574468	4635943

სარეზერვუარო პარკი მოიცავს ორ ჰორიზონტალურად განთავსებულ ავზს, თითოეულის მოცულობით 22 მ<sup>3</sup>. ჯამური მოცულობა ტოლია 44 მ<sup>3</sup>. რეზერვუარების სასუნთქი მილების სიმაღლე დაახლოებით 2,5 მ-ია, ხოლო დიამეტრი - 75 მმ. ლითონის რეზერვუარები ნახევრად მიწისქვეშა განლაგებისაა. მიწისქვეშა საცავი მოპირკეთებულია წყალგაუმტარი ბეტონის ფენით. მისი მოცულობა დაახლოებით 45 კუბ.მ-ია (5,4 x 4,2 x 2), რაც საშუალებას იძლევა, ავარიის შემთხვევაში სრულად მოხდეს რეზერვუარების შიგთავსის ლოკალიზება.

### 3 საწვავის შემოტანა

ავტოგასამართი სადგურის საწვავით მარაგდება ავტოცისტერნების საშუალებით, რომლებიც განთავსდებიან ავტოცისტერნების ბაქანზე. ავტოტრანსპორტის სამოდროდ განკუთვნილი ტერიტორია მობეტონებულია.

ტექნოლოგიური პროცესი მიწისქვეშა რეზერვუარებიდან, საწვავი მიეწოდება საჩამომსხმელო სვეტს. საწარმოო მოედნის ფართობი შეადგენს 43 მ<sup>2</sup>-ს, რომელიც გადახურულია. მოწყობილია ერთი გასამართი სვეტი ორი პისტოლეტით, თითოეული ბენზინისა და დიზელისათვის.

ერთდროულად შესაძლებელი იქნება ორი ავტომობილის გამართვა.

### 4 ავს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირება ხორციელდება ყოველდღიურად, 365 დღე წელიწადში, 12 საათიანი რეჟიმით.

წლიურად დაგეგმილია 150000 ლ ბენზინისა და 120000 ლ დიზელის მიღება-რეალიზაცია.

მომუშავეთა რაოდენობა შეადგენს 4 ადამიანს, რომელთაგანაც 3 ოპერატორია და განაწილებული არიან ცვლებში, ხოლო 1 ობიექტის ხელმძღვანელია.

## 5 წყალმომარაგება-კანალიზაცია

მომსახურე პერსონალისათვის სასმელი წყლის შემოტანა მოხდება ბოთლებით ყოველდღიურად.

ახლო მომავალში დაგეგმილია წყლის შემოყვანა მილით, 100 მ მანძილზე არსებული ადგილობრივი წყალსადენიდან. საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება ტექნოლოგიურ მოედანზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებისა და მოედნის პერიოდული სანიტარული ხასიათის ჩარეცხვის მიზნით, ამისათვის, ტექნიკური წყლის შესყიდვა წარმოებს სხვადასხვა ფიზიკური პირებისგან, რომლებიც ავტოცისტერნით ამარაგებენ ობიექტს. ტექნიკური წყალი თავსდება 5 ტ ტევადობის ფოლადის ავზში.


დღის განმავლობაში ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე იმყოფება 2 თანამშრომელი და მათი საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის საჭირო წყლის რაოდენობა იქნება  $2 \times 45 = 90$  ლ/დღე, ხოლო წლიურად მოხმარებული წყლის რაოდენობა იქნება  $90 \times 365/1000 = 32,85$  მ<sup>3</sup>/წელიწადში. თანამშრომელთა სველი წერტილებით მომსახურებისთვის გათვალისწინებულია 200 ლ/დღე წყლის გამოყენება, რაც წელიწადში შეადგენს 73 მ<sup>3</sup>-ს. ავტოგასამართ სადგურში საყოფაცხოვრებო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 105,85 მ<sup>3</sup>/წელ.

საწარმოო მიზნით წყლის გამოყენება ხდება ტექნოლოგიური მოედნის მოსარეცხად დღეში 2-ჯერ. ტექნოლოგიური მოედნის ფართობი შეადგენს 43 მ<sup>2</sup>-ს. რეცხვა ხორციელდება კერხებით, რომლის წყლის ხარჯი შეადგენს 8 ლ/წთ. მოედნის მოსარეცხად საჭირო დრო შეადგენს 5 წუთს დღეში, შესაბამისად წყლის ხარჯი იქნება  $5 \times 8 \times 365/1000 = 14,6$  მ<sup>3</sup>. ტექნოლოგიური მოედნის პერიმეტრზე ფარდულის გადახურვის ქვეშ (ისე, რომ მასში არ ხვდება წვიმის წყალი) მოწყობილია ჩანარეცხი წყლების მიმღები ღარი სიგანით 10 სმ,

ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე არხის მეპატრონე ყვარელის მუნიციპალიტეტის მერიაა. მერიასთან ზეპირსიტყვიერად გავლილი კონსულტაციის შედეგად გაირკვა, რომ მერიას არ აქვს პრაქტიკა შეითანხმოს სანიაღვრე წყლების მიღება და საწარმოებს დაუდგინოს ტექნიკური პირობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ავტოგასამართ სადგურზე მოეწყოს მიწისქვეშა წყალგამტარი ბეტონის საცავი, რომელსაც მიუერთდება ნარეცხი წყლების მიმღები ღარი. რეზერვუარის მოცულობა იქნება არანაკლებ 200 ლ. რეზერვუარში შეკრებილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყალი, შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის/რეგისტრაციის მქონე ორგანიზაციას. წყალშემკრების ნახაზი ნაჩვენებია ქვემოთ.

ავტოგასამართი სადგური წარმოადგენს მოქმედ სადგურს. ტერიტორია მთლიანად მოშანდაკებულია და არ არის წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. დაახლოებით 200 ლ მოცულობის (0,2 კუბ.მ) ავზის განსათავსებლად, რომლის კედლის სისქე იქნება 10 სმ (0,01 მ) საჭირო იქნება დაახლოებით 0,21 კუბ.მ მოცულობის გრუნტის ამოღება, რომელიც გამოყენებული იქნება ტერიტორიის მოსაშანდაკებლად (მაგ. 15 სმ სიმაღლის ფენის მოსახრემად საჭიროა 14 კვ.მ ფართობის ტერიტორია 0,21 კუბ.მ : 0,015 მ = 14 კვ.მ).

ნახაზი 3.



## 6 გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს:

- ატმოსფერული ჰარის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით;
- ხმაურის გავრცელებით;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკით;
- ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედებით;
- ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით;
- ვიზუალური ლანდშაფტური ცვლილებით;
- დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედებით;



- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედებით;
- გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით;
- ავარიებისა და კატასტროფების გავლენით;
- ნიადაგსა და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედებით;
- ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებით;
- სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით; - კუმულაციური ზემოქმედებით.

## 6.1 ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების დროს გამოიყოფა მავნე ნივთიერებები საწვავის მიღებისას და გაცემისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება # 435) შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას დიზელისა და ბენზინის მიღება-შენახვა-რეალიზაციის დროს გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა შეადგენს:

ა) 1,4 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ ბენზინის საწვავზე;

ბ) 0,0025 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე.

ავტოგასამართ სადგურზე წლიურად დაგეგმილია 150000 ლ ბენზინისა და 120000 ლ დიზელის საწვავის მიღება-რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, გამოყოფილი ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

### ბენზინისთვის:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 150\,000 \times 1,4 / 10^6 = 0,21 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 0,21 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,013 \text{ გ/წმ};$$

### დიზელისთვის:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 120\,000 \times 0,0025 / 10^6 = 0,0003 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 0,0003 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,00002 \text{ გ/წმ};$$

სულ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების -ნახშირწყალბადების წამური და წლიური რაოდენობები იქნება:  $M=0,01302 \text{ გ/წმ}$   $G=0,2103 \text{ ტ/წელ}$ .

ავტოგასამართ სადგურზე შემდეგი გაფრქვევის წყაროებია:

- გაფრქვევის წყარო # 1 - ბენზინის გასამართი პისტოლეტი;

- გაფრქვევის წყარო # 2 - ბენზინის ავზი;
- გაფრქვევის წყარო # 3 - დიზელის გასამართი პისტოლეტი;
- გაფრქვევის წყარო # 4 - დიზელის ავზი.

როგორც გაანგარიშების შედეგები აჩვენებს, გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა მცირეა. ამასთანავე ქვეყნის მასშტაბით არსებული გამოცდილება ადასტურებს, რომ ანალოგიური ობიექტების ფუნქციონირებისას არ ხდება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა. გასათვალისწინებელია, რომ საწვავის ავზები აღჭურვილი არიან სასუნთქი სარქველებით.

## 6.2 ხმაურის ზემოქმედება

ავტოგასამართ სადგურზე ხმაურის წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ ავტოტრანსპორტის გადაადგილებით საწვავის შემოტანისა და გამართვი დროს. დაგეგმილი წარმადობისა და ავზების მოცულობის შესაბამისად, საწვავით ავზების გავსება საჭიროა წელიწადში 50-ჯერ. აღნიშნული ინტენსივობა არ იქნება შესამჩნევი გარემოსათვის. რაც შეეხება საწვავის რეალიზაციას, როგორც წესი სერვისით სარგებლობენ ავტომანქანები, რომლებიც ობიექტის განთავსების მიმართულებით გადაადგილდებიან, გასამართი სადგურის ფუნქციონირება არ იწვევს დამატებითი სატრანსპორტო ნაკადის შექმნას. ობიექტზე ავტომობილების გადაადგილება ვერ იქონიებს გავლენას ხმაურის ფონურ მდგომარეობაზე, მით უმეტეს, ტერიტორიაზე შეზღუდულია გადაადგილების სიჩქარე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება არ არის მოსალოდნელი.

## 6.3 ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე

ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან ობიექტის წყალმომარაგება გათვალისწინებულია ადგილობრივი წყალსადენიდან, ხოლო წყალარინება ხორციელდება საკუთარ ტერიტორიაზე მოწყობილ საასენიზაციო ორმოში, რომლის განტვირთვა მოხდება პერიოდულად, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ. არაპირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია ავარიული სიტუაციების შედეგად ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრით.

უსაფრთხოების წესების დაცვისა და ავარიული რისკების მართვის შემთხვევაში წყლის რესურსებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 6.4 ზემოქმედება ლანდშაფტზე

როგორც აღნიშნული იყო აგს-ის განთავსებულია სოფელ ჭიკანის ტერიტორიაზე გამავალ საავტომობილო გზის პირას. მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს ჯერ აუთვისებელ გზისპირა ტერიტორიას, 100 მ მანძილზე უახლოესი საცხოვრებელი სახლია, ხოლო გზის მოპირდაპირე მხარეს სავარგულებია. შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ტექნოგენური ლანდშაფტი. აღნიშნული ნაგებობის გარეგანი იერსახე მიახლოებულია ადგილობრივ ლანდშაფტთან. ამასთანავე ჩატარებულია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებით მნიშვნელოვან ვიზუალურ - ლანდშაფტურ ცვლილებები არ მომხდარა და შესაბამისად უარყოფითი ზემოქმედება არ შეიმჩნევა. ავტოგასამართი სადგურის ფოტო მოცემულია სურათზე.



## 6.5 ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ობიექტზე ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია ექსპლუატაციის ეტაპზე.

ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. აგს-ზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება ხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით.

უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ცალ-ცალკე.

აგს-ზე ყოველდღიურად დასაქმებულია 2 ადამიანი. შესაბამისად წლის განმავლობაში

მუნიციპალური ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა იქნება  $2 \times 0,73 = 1,46$  მ<sup>3</sup>. რომელიც გატანილი იქნება ყვარლის მუნიციპალური სამსახურის მიერ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა, ავზების გაწმენდის შედეგად მიღებული ლექი. წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები (ნავთობდამჭერის ლექი) დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე დახურულ სათავსოში. გაფორმებულია ხელშეკრულება ამ ტიპის ნარჩენების გაუვნებლობაზე სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციასთან, რომლის შესაბამისადაც პერიოდულად მოხდება ობიექტზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა.

ნარჩენების მართვის წესების და მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, გარემოს დაბინძურების რისკი ძალიან დაბალია.

## 6.6 ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე

აგს-ს ექსპლუატაციისას გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების რისკები არ იქნება მაღალი, რადგან ტერიტორია დაფარულია მყარი საფარით, ხოლო ატმოსფერული წყლების დაბინძურების რისკის მქონე უბნებიდან მოხდება წყლების შეკრება და ნავთობდამჭერში გაწმენდა.

## 6.7 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საწარმოს გავლენის ზონაში დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 6.8 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

როგორც აღნიშნული იყო, ავტოგასამართი სადგური მოწყობილია სოფელ ჭიკანში, ურბანულ ზონაში. ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეებისაგან. ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია გამწვანების ზოლი.

მაღალი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორია ცხოველთა საბინადროდ არახელსაყრელია.

საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის მდებარეობის და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, როგორც ექსპლუატაციის ფაზაზე ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად გამორიცხულია.

## 6.9 ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

ობიექტის ადგილმდებარეობიდან და დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის .

## 6.10 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო ფუნქციონირებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (4 ადამიანი), ობიექტზე დასაქმებული იქნება ადგილობრივი მცხოვრები, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

კომპანია ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც ასევე დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

## 6.11 კუმულაციური ზემოქმედება

ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს, 500 მ რადიუსში არ არის წარმოდგენილი ანალოგიური ობიექტები, რომელებიც არსებულ საქმიანობასთან ერთად გარემოზე მოახდენს ჯამურ ზემოქმედებას.

ავტოგასამართი სადგურის საქმიანობის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელებასთან დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად ნულის ტოლია.

ანალოგიური შეიძლება ითქვას ხმაურთან დაკავშირებით. კუმულაციური ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირულ წყალსატევში ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილი არ არის და შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის საქმიანობის განხორციელება კუმულაციური ზემოქმედების მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებული არ არის.

## **6.12 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე**

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

ობიექტზე დაცულია შრომის უსაფრთხოების წესები, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია სათანადო უსაფრთხოების ნიშნები. ავტომანქანების გადაადგილების სიჩქარე შეზღუდულია 10 კმ/სთ-მდე. ავტოგასამართი სადგური აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას.

## **6.13 ავარიული სიტუაციები**

ავარიის პრევენცია და ლიკვიდაცია ხორციელდება შედგენილი გეგმის შესაბამისად, რომლის მიზანია საწარმოს მომსახურე პერსონალის, მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა. შესაძლო ავარიებიდან საწარმოსათვის ყველაზე სენსიტიურია ხანძარი, რომლის ლიკვიდაცია და რეაგირება საჭიროა სათანადო სამსახურთან შეთანხმებული სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შესაბამისად.

## 7 დანართი 1. საჯარო რეესტრის ამონაწერი



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 57.03.59.016.016

### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882022555394 - 01/08/2022 12:47:09

მომზადების თარიღი  
19/08/2022 19:36:00

### საკუთრების განყოფილება

მონა ყვარელი	სექტორი ჭიკაანი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუსგებელი ფართობი: 1091.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:57.03.59.000.436; 57.03.59.000.382; შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი:№01 საერთო ფართი - 43.5 კვ.მ.
57	03	59	016/016	

მისამართი: რაიონი ყვარელი , სოფელი ჭიკაანი

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022455911 , თარიღი 22/06/2022 14:23:22  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/07/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:18/02/2021 ,სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:18/02/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადაწყვეტილება 111379 განცხადების დასაბუთებულობის დადასტურებისა და მიწის ნაკვეთის მიმნობრივიდანიშნულების ცვლილების შესახებ , დამოწმების თარიღი:04/07/2022 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

გოლერძი მათიაშვილი,P/N: 20001045359

მესაკუთრე:

გოლერძი მათიაშვილი

აღწერა:

### იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

### სარგებლობა

განცხადების  
რეგისტრაცია  
ნომერი  
882022242017  
თარიღი 11/04/2022  
10:30:08

უფლების  
რეგისტრაცია: თარიღი  
15/04/2022

მოიძარე: შპს "პრემიუმი" 431438795;

საგანი: დამუსტრებული ფართობი: 602.00 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა/ნაგებობები;  
საბოლოო თარიღი: 15/04/2025;

უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 11/04/2022, საქართველოს  
იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

---

## ვალდებულება

ყადადა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეგისტრირება:

რეგისტრირებული არ არის

---

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგაოსასხალო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სარეგისტრაციო მიზნების საშუალოდ გაოსასხალო გაოსასხალო ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგაოსასხალო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგაოსასხალო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგაოსასხალო კოლეჯის XVIII თავის მიხედვით."

- ლიკენის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გეოგრაფიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გეგმიური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგვით განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)